ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი- კოლეგიის წევრი

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის №104/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 06.01.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. დ. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. დ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

2011 წლის 6 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა მ. მ. და მოითხოვა ადვოკატ გ. დ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 მუხლის ,,ა“ პუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა“. მ. მ. ეთიკის კომისიისგან განემარტა, რომ იგი იყო საჩივრის შემოტანაზე არაუფლებამოსილი პირი, ვინაიდან მან ეთიკის კომისიაში საჩივარი ადვოკატ გ. დ. წინააღმდეგ შემოიტანა მისი დის, რ. მ. ინტერესების დასაცავად. ამასთან, შესაბამისი რწმუნებულება საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, 2011 წლის 23 დეკემბერს მ. მ. ეთიკის კომისიას მომართა წერილობითი განცხადებით და მოითხოვა მის საჩივართან დაკავშირებით დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 32–ე მუხლის თანახმად, ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას

დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელი ან პირი, ვისი მიმართვის საფუძველზეც დაიწყო დისციპლინური წარმოება, უარს იტყვის საჩივარზე(მიმართვაზე)“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეწყდეს დისციპლინური წარმოება მ. მ. 2011 წლის 6 დეკემბრის საჩივარზე №104/11.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე /

კოლეგიის წევრი: /არჩილ კბილაშვილი /

კოლეგიის წევრი: /დათუნა მოდებაძე/